ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N155

2015 წლის 29 ოქტომბერი
ქ. ქობულეთი

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" თანდართული სქემების შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ახალი 10 კვ ძაბვის საკაბელო ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებაზე თანდართული ნახაზის შესაბამისად.

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს საკაბელო ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე




15-373-1

ENERGO-PRO

| | | | |
|---|---|---|---|
| უფრ. სპეც. | მეგრელიძე | | |
| სპეც. | ზარამიძე | | |

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე შპს „პრომეთე"-ს კუთვნილი ობიექტის გარე ელექტრომომარაგება

| | სტადია | ფურცელი | ფურცლებ |
|---|---|---|---|
| ელექტრული ნაწილი | მ. პ. | 1 | 1 |

10კვ ძაბვის საკაბელო ეგხ-ის ტრასის გეგმა

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
თბილისი, სანდრო ეულის ქ. №1
2015 წ.